

რედაქცია

მელიქონოვის ქუჩაზე, პრეტმ ჩაიგეტოვის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქონოვის სტამბაში. ქალაქ გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განცხადების ფასი

დღი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცილოთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გახწვრებს და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა და ლუბრუდებს.

დროება

გამოდის კვირბობით, ოთხშაბათობით და პარასკობით

საქართველო

ფასდება

რომელიც მოითხოვება ერთგან, ენც აპირებს შესვლას საცხენისის დაწყებით სასწავლებლის პანსიონში; მუთაისის პროგიმნაზიაში, შუშის საქალაქო და თელავის უზღის სასწავლებლებში კონვიკტებათ; აგრეთვე სტიპენდიის დანიშვნაზე მუთაისის პროგიმნაზიაში, მზურგეთის საქალაქო და ორს ნორმალურ დაწყებით სასწავლებლებში.

შეგუდავთ პირველ ხუთს მუხლს.

1) პანსიონი, კონვიკტი და სტიპენდიები წესდებიან უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო რჩევის გარდაწყვეტილებით 1875 წ. 6 მაისს მისთვის, რომ მიენიჭოს განათლება ქაქასის აქეთ მზრის ღარიბ აზნაურთ და სხვათ ღირსებულ წოდების შვილებს.

2) შევლა სახაზინო ეკანსიები შესახებ მათდა, კონვიკტათ შედიან, თუ საცხენისის დაწყებით სასწავლებელში პანსიონერთა; განიყოფებიან სამ კატეგორიათ: ა) ობლებისთვის ე. ი. ვისაც არც დედა ჰყავს და არც მამა; ბ) ვისაც ან დედა აკლია, ან მამა; გ) ვისაც ორივე ჰყავს. ამ გვარად პანსიონში იქნება 34 ეკანსია პირველი კატეგორიის; 33 მეორის

და 33 — მესამის კონვიკტში 7 ეკანსია, პირველის 6 — მეორის და 6 — მესამის. თუ რომელიმე კატეგორიას დააკლდება კანდიდატი, მაშინ ის შეივსება დანაშთენ კატეგორიების კანდიდატებიდან, მაგრამ ისე, რომ პირველ კატეგორიას ყოველთვის უპირატესობა ექნება მეორესზე და მეორეს — მესამესზე.

3) თხოვნა ყმაწვილების მიხედვით, კონვიკტათ იქნება, თუ პანსიონერთა, უნდა შემოიტანონ ქაქასის სამოსწავლო მაზრის მზრუნველის უ. ნევეროვის სახელზე და თხოვნასთან ვალდებულნი არიან ყმაწვილთ ჰირისუფალნი წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები: 1) მოწმობა წოდების მოწმობა მეჯლისებისგან. 2) მტროკა, — მუსულმანებისთვის მოწმობა მეჯლისებისგან. 3) მოწმობა, რომ ისინი მართელი ტაზისა არიან და ყვავილ აკრილი. 4) ღარიბობის მოწმობა გუბერნიის მარშლისგან, მაგრამ ლუბერნატორისგან დამტკიცებული; ხოლო იმ გუბერნიებში, სადაც მარშლები არა ჰყავთ, გუბერნატორის მოწმობა.

4) შევლა შემოტანილ თხოვნების სია და უფლებების მექონის, რომ ისინი იქნებიან მიღებულნი ხაზინის ხარჯზე, შეიდგინებიან მაზრის მზრუნველის კანცელარიაში და ამ სიის ძალით მოხდება თავისუფალ ეკანსიების შევსება საყოველთაო კენჭისყრით იმ სასწავლებელთ პედაგოგიურ რჩევათ თან დასწრებით, რომ

მელთ ექვემდებარებიან კონვიკტი და პანსიონი. კენჭის ყრა მოხდება იენისის თეში.

5) კონვიკტათ მიღების დროს ხელმძღვანელობენ წლოვანობაზე იმ სასწავლებლების წესდებით, რომელთაც ექვემდებარება კონვიკტი; საცხენისის დაწყებით სასწავლებლის პანსიონში მიიღებიან მხოლოდ რვა წლის, ცხრის, ათის და, განსაკუთრებულ პატივსაცემ შემთხვევაში, მაზრის მზრუნველის შეხედულებით, თერთმეტ წლისაც. მართელი კურსის დასრულებამდის ერთხელ მეტათ არ შეუძლიან დარჩეს ყმაწვილმა ერთსა და იმავე კლასში, თუ ერთობ ხანგრძლივი ავთამყოფობა არ უშლის და ისიც მაზრის მზრუნველის განკარგულებით. საცხენისის სასწავლებელში დაჰყოფს ყმაწვილი ოთხს წელიწადს: თითო კლასში ორ-ორს. მისაც რუსული არ ეცოდინება. მათთვის ხუთი წელიწადია, მოსამზადებელ კლასიანათ.

დღიური

მუთაისის ბანკის მმართველის და დირექტორების ამორჩევა, რომელიც 14 ამ თვისას უნდა მომხდარიყო, 20 ამთვისთვის გადაუდგიათ, რადგან თავად-აზნაურობას ჯერ საკმაოდ თავი არ შეუყრია.

ფელტონი

ხმა მონასტრიდან *)

ამ ცოტა ხანებში ეს ორჯელ ვეწვიე ძიების ლაგრა-გამოქებაულს. სასიამოვნოა, სწორე გითხრათ, თბილ დღეში იქითკენ გასივრება. ამწვანებული დიდი მინდორი გაგმლვებათ წინ და წმინდა სოფლური ჰაერი გეხვევათ გარს. ძიევიდამ სამხრეთი-

განვებ ამ ჩემ წერილს აღარ დადგეს ის დღე, რაც დღე ადგება ხოლმე თითქმის ყოველ ჩემ სტატიას! თქვე დალოცვილებო გამოგლდეათ საუკეთესო ალავს სტატიადამ და გაანებებთ ისე თავს... გამოგლდევილი სტრიქონების ნაცვლად-ბერნესი არ იყვეს-ახალი ანბები მაინც ჩასწერეთ ხოლმე... ანუ თუ რამდენიმე წერტილის დსმა აღკრძალულია კანონისგან? ახალი სტრიქონიდან მიიღე დაიწვეთ ხოლმე გამოგლდევილი ალავის შემდეგ მიმდევარი აზრი. არა და უბრალოთ შეპყრით ერთათ ორ უკავშირო და ერთმანერთისგან დამოუკიდებელ აზრს და გამოგვათ რაღაც, გამოცანსავებ, რომელსაც თვით დანიელ წინასწარ მეტყველიც ვერ გამოიტყობდა.

სკენ რომ ხუთი ვერსი გაიაროთ, თქვენ მიადგებით თანასწორ ტრიდ მინდორზე მართულ მაღალ სამრეკლოს და ძველ-სქელ კედლებს. მს გახლავსთ ლავრის სამრეკლო და მისი მაგარი გალავანი. ბალაენის კარს შეივლით თუ არ, წინ გაგეჭივებათ დიდი ტიტველა ალაგი, მოფენილი მორთული ეკლესიებით და მშვენიერი საახლებებით.

მს გახლავსთ ლავრა. მოხსენებულ საახლებებში სცხოვრობენ ბერები. სწორე გითხრათ — ნამდვილათ არ ეცივი, თუ აქ რამდენი ბერი სცხოვრობს. მართა გარეშე პირის სიტყვით აქ სამიათას ბერზედ ნაკლები არ არის. ამისავე სიტყვით, ამ სამიათას ბერს ასი წინამძღვარი ჰყავს და თვითთულს ამთავანს ოთხმოცდა ათი თუმანი აქვს წლიური ჯამაგირა.

ჯამაგირის ოდენა ამათ შესავალიც ექნებათ; მისილამ მოყოლებული ზამთრის პირამდისინ აქ მლოცაეი არ შესწყდება თურმე. შიველ წლივ ყოველი კუთხე რუსეთისა უმორჩი-

ლესად უკრავს თავს ამ მონასტერს და მოაქვს ამის ბერებთან არა ღარიბი შესაწირავი. გონებ ეს უნდა იყვეს მიზეზი იმ მოვლინებისა, რომ აქაური ბერები არ არიან ისე თვალხარბნი, როგორათაც ქაქის სხვა მონასტრებსა და ეკლესიებში. მაგემ წინაზედ სოფიოს ტაძარში ერთმა ბერმა, თუ მღვდელმა, პირ-და-პირ და ხმა მალა შემომამძლია პარაკლისი ღვთის მშობლის სახელობაზედ.

ლავრის ეზოში დასავლეთისკენ რომ მიუხვიოთ, თქვენ დაინახავთ დაქანებულ გვერდას. ამ გვერდას რომ დაადგეთ და გასწიოთ ძირს, გზა-უჩვენებელივ მიადგებით გამოქებაულებს. გამოქებაულის კარები დაკეტილია და აღებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც რამდენიმე მლოცაეი შეგროვდება ამ კარებთან. მე რომ მივედი, სამი კაცის მეტი ჯერ არავინ იყო აქ და ამისათვის ორიოდ წამს მომიხდა აქ ცდა. მე მივიხედ-მოვიხედე... ჩემ წინ იყო გაშლილი დიდი და მშვენიერი ხეხილის ბაღი; ღამაზათ შემუშავებული და წითელი


15 აპრილს საღამოს რვა საათზე იყო ერთი დიდი გროვა ხალხის მთილისის ქალაქის გამგეობის წინ ქუჩაზე. — მიზეზი, როგორც შევიტყვეთ, ყოფილა ის, რომ „მიკიტნები, რომელთაც შეიღი თუმანი გარდაუხდიათ ეპრობის უფლების მიღებისათვის, იძულებულნი არიან, გარდაიხადონ კიდევ რაღაც ახალი გარდასახადი“.

საჭირო არის მიექციოს ყურადღება ამ გარემოებას და აიხსნას.

შოთი დამგვატყობინებენ, რომ იქ 8 აპ. გარდაცვლილა იქაური ქალაქის ექიმი მ. ა. ილინი. პორრესპონდენტი გვეწერს, რომ ილინი გაწესდა ამ ქალაქში (1866.) მაშინ, როდესაც შოთი წარმოადგენდა დამპალს და აყროლებულს ქაობას; როდესაც „საკმაო იყო, ერთი საათი შოთში დაგყოვენობდათ, რომ რამე სენი აგტეხობდათ, როცა აქა იქ ნაივებზე იყვნენ აშენებულნი ქოხები და შიგ ოთხი მაინც იყო ავთამყოფი.“ ამ გარემოებაში მყოფმა ილინმა, ამბობს კორრესპონდენტი, ისეთი ენერგია, პატიოსნება და კაცთ-მოყვარეობა გამოიჩინა, რომ დაბალი ხალხი დიდხანს არ დაივიწყებს მას და არც ეხლა სჯერა ბერს მისი სიკეთილი. შევლაზე უკეთესი მისი ღირსება ის იყო, ამბობს კორრესპონდენტი, რომ განსაკუთრებით ყურადღებას დაბალს ხალხს აქცევდა: ვი-

გზებით მორთული. მს გახლავსთ ბერების საზოგადო ბაღი. აქ ლოცვა არ უნდა იყვეს მოსაწყენი.

პატარა ხანს უკან კარგა ბლომათ შეგროვდნენ მლოცაეები. მართა მოხუცებულმა ბერმა გაგიღო კარი, გაყიდენა თითო-ორად შაურიანი სანთლები, აგვანთებინა ყველას და გაგვიძღვა წინ. ჩვენ ჩავიარეთ რამდენიმე ჩასადგომი ხის კიბისა და შევეყაით თავი ვიწრო და არა მაღალ გამოქებაულში. გამოქებაული ისეთი ვიწროა, რომ ორი კაცი დამხარდახარებით მასში ვერ მოთავსდება; ამისათვის ჩვენ გავებით თითო თითო, წეროვსაეით და ნელ-ნელა ვიწყეთ წინ წწევა. მაღვდგი რამდენიმე ლავი და მოვიხედე მარჯვნივ. გამოქებაულის კედელში არის გამოჭრილი კარგა დიდი თახჩა და ამ თახჩაში სდგას თავ-ახდილი კუბო, რომელშიაც სქელ დიბაში გახვეული და მაგრა შეკერილი, განსვენებს გვამი წმინდისა ნიკიტასი (კედელზე სწერია). შ მდგე მოვიხედე მარცხნივ. აქეთაც იმგვარადვე განსვენებდა



გამო თავად აზნაურობის წინამძღო-
მელი უნდა იქნეს თავს-მჯდომარედ.
თუ მოთავე და გავლენის მექო-
ნე ცეცხლა კრებს განსაზღვრულ მო-
თავს როგორც ეს საქმე უეჭვე-
ლია, რომ ერთის მხრით იმერლებსა
და მეორეს მხრით მეგრელებსა და
ლესხუმლებს შუა პირველი სხდომა-
დამე შეტყობა და განხეთქილება
მოხდება.

შესანიშნავია, რომ ვისაც არ ჰქო-
ნათ, ყველა იმას გეტყვის, რომ
„ბატონო ბანის საქმე მარშლების
ამორჩევის საქმე როდიაო, აქ პარ-
ტიობა არ უნდა იყოს, საზოგადო-
საქმეა და ყველა ერთნაირად უნდა
ვეცდილობდეთ, რომ მაგარი ფესვები
მიეცეს ამ ახალს საქმეს და სხე.

სიტყვით კი გვუბნებათ ამას, მა-
გრამ საქმით კი... ამბობენ, რომ სხვა
და სხვა კანდიდატების მომხრეები
ყოველ ღამე თუ ერთთან და თუ
მეორესთან იკრიბებიან და ჩუმ-ჩუმად
არისებენ საქმესა; ამბობენ, მეგრე-
ლებსა და ლესხუმლებს პირი მიუ-
ციათ ერთმანეთისთვის, რომ ამ საქ-
მეში მუდამ ერთად, თანხმად იმოქ-
დნენ; ამბობენ, ერთი აქაური ადვო-
კატი დიდხანა შესდგომა ოინებს,
რომ მეკენჭების ფული მოიგოს და
თუ თავს-მჯდომარედ არა, დარეკ-
ტარად მარცხ ამოაჩვენოს თავი;
ამბობენ, მეორე კანდიდატი განსა-
კუთრებულის სიბრახით ლანძღავს
„დროების“ კანდიდატებს და ვისაც
მეკენჭებს შეხედება, ტკბილად გაუქ-
რებს და მგრძობობარედ, მაგრამ ხელს
ჩამოართმევს; კიდევ ბევრ სხვას ამ-
ბობენ, ბევრ სხვას სჩადიან, რომე-
ლიც სრულებით არ ამტკიცებს თან-
ხმობასა და ერთად, ძმურად საქმის
წყევანის სურვილსა.

მეკენჭე
წიგნი რედაქტორთან.

უფ. რედაქტორო! ჩემის აზრით
ყველა „დროების“ მკითხველებისა-
თვის საინტერესო უნდა იყოს ჩვენი
ძველი მამა-პაპის დანარჩენების ცო-
დნა და შეტყობა მისი, თუ რა გაუ-
კეთებიათ ჩვენ წინაპარებს... მარ-
თალია, იმათ ბევრი რამ ძვირფასი
საჩუქარი გაუმზადებიათ ჩვენთვის,
მაგრამ ჩვენ ჩვენი უხერხობით ესე-
ნი, ყველა თუ არა, უშეტყვის ნაწილი
სხვის კუთხილებათ გაგვიხდია.

იმ ძველად ჩვენი მამა-პაპის და-
ნარჩენებზე, რომელნიც ამ ქვეყნად ჩვენ-
გან მიყრუებულად და დაეწვებულად
გდიან სხვა ქვეყნებში, მომყავს მცირე-
როდენი ცნობა, რომელიც მამა-
იქაურმა მცხოვრებმა, საცა უწინ ჩვენ
მამა-პაპის ჰქონია დიდი-ძალი განძი.

ამ თვეში მე შეხვდა ერთი მთა-
წმოდელი ბერი—იონა. ამასთან ბე-
რი რამ ელაპარაკე ზოგი იქაურო
(მთაწმინდელ) ბერების ცხოვრება-
ზე და ზოგი იერუსალიმის ბერების
ცხოვრებაზე.

მერმე სხვათა შორის ვკითხე ბ.
იონას: ამბობენ, მამო, მთაწმინ-
დაში ერთი სახლი ხელ-ნაწერი წიგ-
ნი დაიწერა მეთქი, ნეტავი თუ მა-
შინ რაზე წიგნი გარდაჩა მეთქი;
მან კი სულ ჩემი კითხვის გარეშე
მიპასუხა აი რა: სადღა არიან, შეი-
ლო ამ ქვეყნად ან ძველი ივერიის
გმირნი და ძველი ივერიის სიმდი-
რე. წახდა, შეილო, ხალხი. თუ არ
დაიჯერებ მიდი მთაწმინდაში, ბა-
თუმში, იერუსალიმში, სინაის მთა-
ზე, მოლგოთას მთაზე და ათას სხვა
ადგილს და ნახე ძველი ივერიის
ნაღვაწს.

არათუ ივერიელნი, მარტო მღე-
თის მოშიშარი ყოფილან, არამედ
მაშულიც პატროსნად ქონიან და ცუ-
ლი. მაგრამ დრო შეცვლილა და ივე-
რიელნიც შეცვლილან: დაუფიწყნათ
მამა-პაპული სიმაძაყე და ღვთის
დიდება. შევლაფერი ამის გამო სხვის
ხელში ჩაუყრიათ. როგორც მაგალი-
თად „ივერიის მღვთის მშობლის“
ეკლესია ბერძენებისათვის მიუციათ,
იმის დიდებითურთ. თუ კი რამ გა-
უკეთებია როდესმე, ყველაფერი აქ
ყოფილა შეკრებული და ახლაც არის,
მაგრამ რათ გინდა ჩვენგან დაჯო-
გულია.

ახლა ეს მოწასტური არის თავის
ადგილი მამულით ბერძნის ბერების
ხელში, რომლებიც, ჩვენ გულის გა-
სახეთქათ, თითქმის არც კი გვიკარე-
ბენ.

შენ მკითხე წიგნებზე, მაგრამ უ-
კაცრავად რომ აქნობამდის ვერ გით-
ხარ... წიგნები არაფერს დაუწევს,
ივერიის მოწასტურის გვერდით არის
ერთი დიდი გამოქვაბული კლდე,
რომელიც კანცელარიათ ქონიან უ-
წინდელ ჩვენ მამებს და რომელშიაც
ქონიან შენახული წიგნები. ეს გა-
მოქვაბული რსეთ ნაირათ არის გა-
კეთებული, რომ მთელი ქვეყანა დაიწ-
ვას, ამას არაუშავს. აქ ახლაც
არის ურიცხვი ქართული ხელნაწე-
რი წიგნები, რომელნიც თვალთ გვი-
ნახამს, მაგრამ არ წავიკითხავს, ან
კი რა ფრათ წავიკითხავდი, მაშინ,
როდესაც ხელს არავინ გვაკიდებ ნებს.
პარგი იქნება ვინმე აქედან ერთი
ნასწავლთაგანი წავიდოდეს, ამ წიგ-
ნებს განიხილავდეს და თუ რამ სა-
სარგებლოს ნახავს გადმოაწეროს და
ისევ ჩვენი ჩვენ დაგვიბრუნდეს...
ამას გარდა სხვაც ბევრი რამ ილა-
პარაკე, მაგრამ ის დრომდის იყოს.
ანთიბოზი.
1876 წ. დ. სუჯუა.

რუსეთი

— პიეტელ. იწერებინ, რომ
ნიცენკო, რომელიც შარშან პიეტის
უნივერსიტეტის რჩევას აურჩევია
იქაურ უნივერსიტეტის ესტრაორ-
დინარულ პროფესორად ხორუგის
კათედრებზე, სახლობს გენათლების მი-
ნისტროსად დაუმტკიცებია.

— პ. ტროვის აკადემიის სტუდენ-
ტების სტუდენტობა აღდგომბრე
მთავრობასთან, როგორც ატკობინენ
„თვ. მოამ.“ ჰყარტილას, რომ სტუ-
დენტებს, სიღარიბისა გამო უთხოვნი-
ათ აკადემიის ბიბლიოთეკადამ წიგნე-
ბია გამოტანისთვის საკითხავად გი-
რაფს ნუ გვთხოვენო; 2) კუხმისტე-
რი, რომელსაც უფულოთ ეძლევა
კვარტირა და სუბსიდია (შემწეობა)
აკადემიადან, უკანონოდ ნუ იქცევა,
რიგანი სადღილი მოგვეცეს; 3) ნე-
ბა-ჰქონდეს სტუდენტებს, მიცემუ-
ლი, მიიღონ თავისი ნათესავი, რო-
გორც კაცი, აგრეთვე ქალი და ნ. ც-
ნობები, თუ თავის ოთახში არა, აკა-
დემიის საზოგადო მისაღებ ოთახში
მიიტკო. შევლა ეს თხოვნა რამ-
დენ ჯერმე განუმეორებიათ სტუდენ-
ტებს აღდგომბრე მთავრობასთან,
რომელსაც ამაში დაუნახავს თავი-
სი მხრით რაღაც პოლიტიკური, მაგ-
რამ, როცა პეტრობურგიდამ ამის
თაობაზედ ჩამოსულმა სახელმწიფო
ქონების მინისტრის ამხანაგმა თავ-
ვადმა ლიფენმა განიხილა ეს საქ-
მე, გამოჩნდა რომ არაფერი პოლი-
ტიკური არა ყოფილა რა, თენიერ
ზემო მოყვანილ თხოვნის გარდა:
ბათავდა მით, რომ რამდენიმე
სტუდენტი გამოირიცხეს.

— „ურალის სამხედრო უწყებაში“
არის დაბეჭდილი იქაურის ატამანის
განკარგულება, რომელშიაც ის აც-
ხადებს, რომ 39 კაზაკი, რომელთაც
წინააღმდეგობა განაცხადეს მმართვე-
ლობისაგან დადგენის ახალ სამხედრო
კანონის მორჩილებაზე, გამოირიცხონ
ურალის საჯარო სიღამ და ყოველი
ლიოსება ჩამოხდილი კაზაკების ხა-
რისხზე გარგზადნონ ორენბურღში,
სიღამაც ადმინისტრაციული წე-
სით თურქისტანის მხარის სამხედრო
მზრაში გადაგზავნონ.

უცხო ქვეყნები

— ამ უკანასკნელ დროებში ალ-
ბანიაშია აპირებენ აჯანყებას იქაუ-
რი მცხოვრებლები, როგორც რუ-
სულ გახეთების ცნობებიდაჰ ჩანს.
მირიდატებს განუზრახავს, დაიბრუ-

ნონ თავისუფლება, რომელიც მათ
თათრებმა წარმოესდგინა მათ
წლის წინეთ. 1 ნობ. ანთიბოზი

იმედია, თუ ერთხანს კიდევ გაგრა-
ძელდა ომი ბერკოგოვინაში, ალბა-
ნიაც თან გაჰყვება, რომ თავისი განხრა
ხეა შეასრულოს. — მათრებიც ამ გუ-
რემოების გამო დიდს მზადებაში არი-
ან ალბანიაში.

ამ ქვეყნად ალქირშიაც უწესობა
მომხდარა არაბების აჯანყების გამო,
მაგრამ იქაურს გენერალ-გუბერნატო-
რის განკარგულებით ეს აჯანყება
დაუშეფრღებიათ, როგორც „თვ. მოა-
ამბეშე“ იწერებინ, ანთიბოზი, ნეთინსკი
1 ნობ. ანთიბოზი, უფულოთ

განცხადებანი

თვილისის სამკურნალო

4 აპრილის სახსოვრად ომან
პრევენის მადანზე, ჩიტახოვის სახლებში.
ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვი-
რას გარდა, დღის 9 საათიდან ნაშუადღე-
ის 1 საათამდინ.

მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს.: ექიმი ტელიაჭუსი—ქა-
ლისა და ემაწვილებს ავთმყოფობისათვის,
მარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთ-
ყოფობისათვის.

ს. ა. შ. ბ. ა. თ. ს.: მერშივეი და მარკარო-
ვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

მ. თ. შ. ბ. ა. თ. ს.: ლისიცივი—შინაგანი
ავთმყოფ., მაკოუსკი—ვენერიული ავთმყო-
ფობისათვის.

ხ. უ. თ. შ. ბ. ა. თ. ს.: ბრაბოვსკი—ხორუგო-
ლი ავთმყოფ., ტელიაჭუსი—ქალებისა და
ემაწვილების ავთმყოფ. და მერშივეი—ში-
ნაგანი ავთმყოფობისათვის.

პ. ა. რ. კ. ე. ვ. ს.: ლისიცივი და მარკა-
როვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

შ. ა. ბ. ა. თ. ს.: მერშივეი—შინაგანი ავთ-
ყოფ. და მაკოუსკი—ვენერიული ავთმყო-
ფობისათვის.

